№ 93
მაისის 3, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 93
მაისის 3, პარასკევი, 1092 წ.
1902

ტფილისი

დედა, ქვრივი, ძმა და შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ დღე დამარხვისა

თავ. ვლადიმერ ივანეს ძის ამილახვრისა

დანიშნულია შაბათს, 4 მაისს, დილის 11½ საათზედ, სოფელ სამთავისში, გორის მაზრაში. რკინის გზით წამსვლელნი დილის 8½ საათის მატარებლით უნდა მობრძანდნენ.
(1—ნ.—1)

1 მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

[illegible]:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება გადიდვა ხუთ მაისს, დღით კვირას, დილის ათი საათისათვის.

ამხ. მმარ. ნ. წერეთელი.
(6—ნ.—3)

ტფილისის სამარხი კასა

ვსთხოვთ ყველა დამფუძნებელ წევრთ „**ტფილისის სამარხ კასისას**“, (რომელთაც წესდებაზედ ხელი უწერიათ) **მობრძანდნენ ქართულ თეატრის დარბაზში კვირას, ხუთ მაისს, დილის 10 საათზედ**, სადაც დანიშნულია **საზოგადო კრება გამგეობისა** და **სარევიზიო** კომისიის წევრთა და მათ **ნაცვალთა ამოსარჩევლად** და აგრეთვე **კასის მოქმედების დაწყების შესახებ მოსალაპარაკებლად.**

რადგანაც ეს კრება მეორეა, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, მაინც კანონიერი იქნება თანახმად წესდების 30—31 მუხლისა.

კრებაზედ წევრობის მსურველთაც შეუძლიანთ დასწრება.
(5—უ.—3)

ქართული თეატრი

შაბათს, 4 მაისს, 1902 წ.
ქართულ დრამატიულ დასის-მიერ
ვლ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

I

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ. კარეევისა, თარ. ზ. ჩიკვაიძისა.

II

ბედნიერი ცოლ-ქმრობა

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილისა, კავთელი და სხვ. ბ-ნნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე და სხვ.

დასაწყისი 8½ საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია.

მხადდება „სამშობლო“.

ქართველ ქალთა ამხანაგობა.

ამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (**МѢТКИ**). ბარონის ქუჩა № 12.
(5—უ.—3)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ·)

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს, რომ იმ პირთა სია, ვისაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების ოთხის წლით, 1902—1906 წწ., არჩევანში, თანხმათ 35 მუხლის საქალაქო დებულებისა, საყოველთაოდ გამოცხადებული იქნება ამ 1902 წლის მაისის თხუთმეტს.

საქალაქო დებულების 33 მუხლის მერვე პუნკტის ძალით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერც წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულზეც ქალაქის დასაფასებელ გადასახადისა ნახევარ წლისაზე მეტი ითვლება, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც ჰსურს არ დაკარგოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დააჩქაროს გადასახადის შემოტანა, სანამ საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაწესებულია საქალაქო დებულების 38 მუხლის ძალით. 9 აპრილს 1902 წ.
(3—ნ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. ვ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა.
(წ.)

ტფილისი

◆ გუშინ, 1 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სტუდენტებისა: ნინიძისა, თავ. ლორთქიფანიძისა და კანდელაკისა და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ აფხაიძისა, რომელთაც 1901 წ. 1 მაისს ქუთაისის თეატრში „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს უწესოების ჩადენა ჰბრალდებოდათ. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გარდაუწყვიტა საპყრობილეში დაპატიმრება ლორთქიფანიძეს—2 თვით, კანდელაკს—3 კვირით, აფხაიძეს—3 თვით და ნინიძეს—1 თვით. დაწვრილებით ამბავს ამ საგნის შესახებ ხვალ დავსტამბავთ.

◆ როგორც შევიტყვეთ, თავ. ილია ჭავჭავაძეს განუზრახავს ლიტერატურულ კრებულის გამოცემა. კრებული დრო-გამოშვებით გამოვა. მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იქმნებიან ყველა ცნობილნი ლიტერატორნი.

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების 1901 წ. მოქმედების ანგარიში საზოგადოების გამგეობას უკვე შეუდგენია და კიდევაც გარდაუცია განსახილველად სარევიზიო კომისიისათვის. ანგარიშს კომისია განიხილავს ამ დღეებში და გამგეობა, როგორც გადმოგვცეს, საზოგადო კრებას ამ მაისის გასულისათვის დანიშნავს.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენები დაიწყო 26 აპრილს და 28 მაისს დამთავრდება. სწავლას წელს სულ 25 კაცი ათავებს; აქედგან 11 ქართველია. როგორც შევიტყვეთ, ბევრნი აპირებენ უმაღლესს სასწავლებელში სწავლის განგრძობას.

◆ ჩვენ გავიგეთ, რომ სასულიერო ცენზორი დეკანოზი ელიევი ცენზორის თანამდებობას თავს ანებებს.

◆ გუშინ-წინ გამგეობამ დაადგინა დაერქვას კირპიჩნი ქუჩას ბელინსკის ქუჩა.

◆ რადგანაც ტფილისსა, მცხეთასა და ავჭალას შუა მოსიარულე მატარებლები ვერ იტევენ მგზავრებს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დიდ-ძალი მგზავრია ამ სადგურებზე, დამატებითი მატარებლები დანიშნონ ხოლმე.

◆ ამ დღეებში სოფ. მერეთის მცხოვრებმა ისაია ფურცელაძემ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად შესწირა ხუთი თუმანი. ამავე ფურცელაძემ ხსენებულ საგნისათვის წარსულ წელსაც შესწირა საზოგადოებას თექვსმეტი თუმანი.

◆ ამ დღეებში გუბერნატორმა დაუბრუნა გამგეობას შესასწორებლად პროექტი ქალაქის ელექტრონით განათებისა. გუბერნატორმა, ამასთანავე დაავალა, საბჭომ განიხილოს და გადასწყვიტოს, თვით აწარმოებს ამ საქმეს, თუ სხვას გადასცემს იჯარით. გამგეობამ დაადგინა: დაავალოს „გელიოსის“ საზოგადოებას შეასწოროს თავისი პროექტი და წარმოუდგინოს გამგეობას. ამასთანავე გადაეცეს ეს საქმე სატეხნიკო კომისიას, რომელმაც ვრცლად უნდა შეიმუშაოს ტეხნიკურის მხრივ ელექტრონის განათების პროექტი. კომისიას სხდომა 4 მაისს ექმნება.

◆ დღეს, 3 მაისს, კრება ექმნება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ა. ფირალოვი წაიკითხავს მოხსენებას პეტერბურგში მომხდარ შინა-მრეწველთა კრების შესახებ. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებს ალ. ნათაძეს და პ. კორხანიძის უთხოვნიათ ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორისათვის, ნება მიეცეთ დაბა სურამში საზაფხულო მოსამზადებელ და სარეპეტიციო კურსების დაარსებისა. გამგეთ მასწავლებლებად სპეციალურ საგნებისათვის მოუწვევიათ ალ. გალაჯევ-ვაჩნაძე, ალ. მიქაბერიძე და ნ. გოგიტიძე.

◆ სამშაბათს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა საბჭოს განსაკუთრებულ კომისიას განზრახულ ხორცის სავაჭრო დუქნის შესახებ მოსალაპარაკებლად. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ასეთ დუქანს ქალაქი თავის ხარჯით აარსებს თამამშოვის ქარვასლაში. დუქანი ელექტრონით იქმნება განათებული. საკლავი საქონელი გამგეობას ავლაბარში ეყოლება საკუთარ ადგილზედ. ეს ადგილი დღეს იჯარითაა გაცემული 3,400 მანეთად. კომისიამ დაადგინა, მეიჯარადრეს გამოართვას ნახევარი ადგილი და საიჯარო ფასი ნახევარი გადაუხადოს. ამ ადგილში კომისია გამართავს საჭირო შენობებს საქონლისათვის. კომისიამ განიხილა აგრეთვე ბ-ნ ლოლაძის განცხადება, რომელიც ურჩევდა ქალაქს საკლავ საქონლის ყარაიაზში ყოლას. ლოლაძე ჰპირდებოდა იქ ყოველგვარ მოწყობილობის გამართვას, ტელეფონისას-ც-კი. ახალი ხორცის დუქანი მზად იქმნება 5 მაისს; აკურთხებენ 7 მაისს.

◆ ხვალ, 4 მაისს, 25 წელიწადი სრულდება, რაც ტფილისში პირუტყვთა მფარველი საზოგადოება იქმნა დაარსებული. ამ დღეს საზოგადოების წევრნი იმ ადგილას, სადაც პირუტყვთა სამკურნალოს შენობას აგებენ, პანაშვიდს გადაიხდიან საზოგადოების ბეითალის მეშჩერსკის სულის მოსახსენებლად.

◆ მარიუპოლის სამეურნეო საზოგადოების გამგეობა შეეკითხა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, შეგვატყობინეთ რამდენად გამოსადეგია სალეწ-სანიავებელი მანქანები ქუთაისელ მამაჯანოვისა და ერევნელ ტერ-ზახაროვისა, რომლებიც წარსულს გამოფენაზედ იყოო.

◆ თ. ვ. ისაკაძეს საბჭოში შეუტანია საჩივარი ინჟენერ შახნაზაროვზედ. ისაკაძე აცხადებს, რომ შახნაზაროვმა უკანონოდ დამაქცევინა ჩემი სახლის გვერდი და 5,000 მანეთამდე ზარალი მომცა. ისაკაძეს საჩივარი შეუტანია ქალაქის საბჭოში, პროკურორთან და გუბერნატორთან. 1 მაისს ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადაეცეს ეს საქმე გამგეობის იურისკონსულტს, რომ თავისი აზრი გამოსთქვას. შემდეგ იგი წარედგინება საბჭოს განსახილველად.

◆ შემოგვებული ანგარიში ტფილ. გუბ. თავ.-აზ. საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, 1901 წლისა. ჩვენ მივიღეთ ანგარიში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის 1901 წლისა, საიდგანაც სჩანს, რომ საზოგადოების გამგე კომიტეტს საანგარიშო წელს ჰქონია 19-ჯერ სხდომა, რომელზედაც კომიტეტს წარმოუდგენია 80-ჯერ. გარდაუწყვეტია 453 საქმე. წლის განმავლობაში კომიტეტს შემოსვლია სხვა-და-სხვა პირებისა და დაწესებულებისაგან 606 ქაღალდი და წერილი და იმავე დროს კომიტეტს თვისი მხრივ 427 სხვა-და-სხვა ქაღალდი გაუგზავნია.

საზოგადოებას ჰყოლია 11 საპატიო წევრი და ნამდვილი წევრი, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა გარდა 67, რომელთაც შემოაქვთ საზოგადოების სასარგებლოდ წლიურად სამ-სამი მანეთი.

1 იანვრისათვის 1901 წ. ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, რომელსაც განაგებს მოხსენებული საზოგადოების კომიტეტი, ყოფილა სულ 597 მოწაფე, ამათგან 126 პანსიონერი და 471 გარედან მოსიარულე. საგზამდეო დროისათვის სკოლაში ყოფილა სულ 564 მოწაფე, რომელთაგან შემდეგ კლასებში გადასულა 438 მოწაფე, ანუ 77,6%, ხოლო დარჩენილან იმავე კლასში 126 მოწაფე. წლის განმავლობაში 618 მოწაფე დაკლებია სულ 21,154 გაკვეთილი, ასე რომ ორთა შუა რიცხვით თვითოეულ მოწაფეს გაუცდენია 34,2 გაკვეთილი. მოხსენებულ გაკვეთილებისაგან გაცდენილია ავადმყოფობის გამო 19,529, სხვა-და-სხვა პატივსაცემ მიზეზის გამო 735 და დანარჩენი-კი არა პატივსაცემ მიზეზის გამო. უმეტესი ნაწილი გაკვეთილებისა გაუცდენიათ გარედან მოსიარულე მოწაფეებს, თვითეულს მათგანს 36,6, ხოლო თვითოეულ პანსიონერს-კი 24,9 გაკვეთილი.

წლის განმავლობაში სკოლის სხვა-და-სხვა კლასებიდან მიუღიათ 80 მოწაფე. ამავე დროს დაჰკლებია 59 და ამნაირად 1 იანვრის 1902 წ. სკოლაში დარჩენილა 618 მოწაფე. 59 მოწაფე, რომელთაც სკოლისათვის თავი დაუნებებიათ, შესულან სხვა-და-სხვა სასწავლებლებში: 3 უნივერსიტეტში, 10 გიმნაზიაში, 2 კორპუსში და სხვ.

618 მოწაფიდან 127 პანსიონერი ყოფილა, ხოლო 491 გარედან მოსიარულე. სკოლის ყველა მოწაფეები წოდების მიხედვით განაწილდებოდნენ ამნაირად: თავად-აზნაური 429, სასულიერო წოდებისა 52, სხვა-და-სხვა ხელოსნები შემდეგ 81, მოქალაქენი 29 და გლეხნი 27; სარწმუნოების მიხედვით-კი ასე: მართლმადიდებელნი 613, სომეხ-გრიგორიანნი 1, კათოლიკე 3 და ერთიც მაჰმადიანი.

სკოლაში 42 მოსამსახურე პირია: ერთი სკოლის გამგე, 23 მასწავლებელი, ერთი გიმნასტიკის მასწავლებელი, ერთი საქმის მწარმოებელი, სამი აღმზრდელი, სამი კლასის დამრიგებელი თანაშემწე, ერთი ეკონომი, ერთი ექიმი, ერთი ფელდშერი, ერთი ცეკვის მასწავლებელი და სამიც მუსიკის მასწავლებელი. მოხსენებულ მასწავლებელთა შორის 21 დასრულებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო დანარჩენებს საშუალო სასწავლებლები.

საზოგადოება ინახავდა სრულ თავის ხარჯზე 28 მოწაფეს, ხოლო ნახევარ ხარჯზე 32 მოწაფეს. სწავლის ფულის შემოტანისაგან საანგარიშო წელს განთავისუფლებულია 291 მოწაფე. 1 იანვ. 1902 წლისათვის პანსიონერებზე დარჩენილა შემოსატანი ფული 5,179 მან., ხოლო გარედან მოსიარულე მოწაფეებზე-კი 667 მანეთი.

საზოგადოებას სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებელში ჰყოლია 11 სტიპენდიატი, რომელთათვისაც შემწეობა აღმოუჩენია 17 უმაღლესის და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთათვის, ხოლო ტანისამოსი შეუკეთებია 26 შეგირდისათვის.

1 იან. 1901 წლისათვის საზოგადოების

ჰქონია 6,697 მან. 30 კ., წლის განმავლობაში შემოსვლია 134,988 მან. 24 კ., ვალათ აუღია 48,011 მან. 88., ასე რომ წლის განმავლობაში საზოგადოების გამგე კომიტეტის განკარგულებაში ყოფილა 179,697 მან. 42 კ., წლის განმავლობაში საზოგადოების კომიტეტს დაუხარჯავს 188,533 მან. 51 კ., და 1 იანვ. 1902 წ. დარჩენილა 1,163 მან. 91 კაპ.

ბალანსი 1 იანვრისათვის 1902 წ. ამნაირია: 1) აქტივი: სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორთან 809 მან. 91 კ., სახელდახელო ანგარიშზე 344 მ. 83 კ., „სკრის“ მოურავთან 9 მ. 17 კ., საპენსიო თანხა, ბანკში შენახული 29,700 მ., %% ქაღალდები ქალთა კომიტეტისა 17,500 მ., %% ქაღალდები სკოლისა 3,100 მან., სარგებელი პროცენტიან ქაღალდებისა 9 მ. 50 კ., უძრავი ქონება 429,367 მან. 77 კ., ინვენტარი 20,857 მან. 91 კაპ., სკოლის ბიბლიოთეკა 4,990 მან. 91 კაპ. და დებიტორები 27,012 მან. 19 კ., სულ 533,702 მან. 19 კ., 2) პასსივი: სათავად-აზნ. ბანკისა სახლის გირაოში 136, 381 მ. 41 კ., სათავად-აზნ. ბანკისა „სკრის“ გირაოში 22,351 მ. 50 კ., საკომერციო ბანკისა 35,000 მან., სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა 19,356 მან., სტიპენდიების ფონდისა 15,505 მან. 30 კ., ქალთა კომიტეტისა 26,171 მ. 69 კ., სკოლის %% ქაღალდებისა 533 მან., კრედიტორები 2,282 მან. 30 კ., საპენსიო თანხა 29,700 მან. და საზოგადოების ქონება შემდეგ ვალების მოშორებისა 246,419 მან. 99 კ., სულ 533,702 მან. 19.

მოხსენებულ ანგარიშს საზოგადო კრება განიხილავს 11 ამა მაისს.

საქართველოს
ამბები

—

ბათუმის საბჭომ, 29 აპრილის სხდომაზედ გადასწყვიტა, რადგანაც 1903 წლის 15 აპრილს 25 წელიწადი სრულდება, რაც ბათუმი რუსეთს შეუერთდა, ამ დღის სახსოვრად ააგოს საქალაქო თეატრი ნურიის მოედანზედ, დააარსოს უფასო წიგნთ-საცავი და გამართოს მუშათა უბანში უფასო პირველ-დაწყებითი სკოლა.

—

ახლო მომავალში კრება ექნებათ ქიათურაში შავის-ქვის იმ მრეწველთ, რომელნიც ახალს საზოგადოებაში „სინდიკატში“ ითვლებიან. კრებამ უნდა აარჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

—

26 აპრილს ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებას, სხვათა შორის, განუხილავს თავად-აზნაურთათვის საკუთარ სახლის შეძენის საქმე. წინად განუზრახავთ ხარაზოვის სახლის შეძენა. ამ აზრით კომისიაც აურჩევიათ, რომელიც თანახმა გამხდარა ხარაზოვის სახლის შეძენისა. კრებაზედ წინააღმდეგნი ყოფილან თავადნი დ. ო. ნიჟარაძე, დ. გ. წულუკიძე და ა. ნ. ქოჩაკიძე. იმათის აზრით, საჭიროა თავად-აზნაურობამ ქალაქის შუაგულში შეიძინოს ადგილი და კარგი შენობა ააგოს. რადგან ამის განხორციელება ეხლა უფულობისა გამო შეუძლებელია, კრებამ საკუთარ სახლის შეძენა შემდეგ დროსთვის გადასდო.

—

გორიდგან გვწერენ: «კვირას, 28 აპრილს, შუა დღისას, სამოსწავლო სემინარიის მოსწავლენი საბანაოდ წასულან ლიახვზედ. ერთს მათგანს, პირველ კლასის მოსწავლეს არგუნაშვილს, ცურაობა არ სცოდნია, ჩავარდნილა მორევში და დამხრჩვალა. საცოდავის მამა ჩამოვიდა სოფლიდგან, დაიჭირა მენავეები და ორის დღის ძებნის შემდეგ იპოვნა გვამი გრაკლის ქვემოდ.

—

ოზურგეთის მაზრის მომრიგებელმა შუამავალმა თავადმა ერისთავმა თანამდებობას თავი დაანება.

—

ბათუმში ერთ ქუჩაზედ უნახავთ ვიღაც მოკლულის კაცის გვამი, რომელიც ტომარაში იდო თურმე. მოკლულის ვინაობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

—

სოხუმის ქალაქის საბჭო.

—

შეხვალთ თუ არა ჩვენს საბჭოში, მაშინვე იგრძნობთ, რომ აქ მაინცა და მაინც ბევრი არავინ არის საქმის გასაკეთებლად მოსული: ხმოსნები ჯგუფ-ჯგუფად სხედან და ერთმანეთს ნაკვესებით უმასპინძლდებიან; მოურავი მისის ტახტის სიმაღლიდგან მრისხანედ გადმოსცქერის მათ და ხანდახან შემოჰბღვერის ხოლმე, თუ რომელიმე გაუფრთხილებელი ხმოსანი ხმას აიმაღლებს მის წინააღმდეგ და რასმე შეჰკადრებს; მდივანი რაღაცას კითხულობს თავისთვის, რომელსაც არც არავინ ყურს უგდებს და არცა-რა ისმის-რა ხუმარა ხმოსნებისა და მაყურებელ ხალხის ხმაურობაში... უწინ თუ ორ-სამს მაყურებელს შეხვდებოდით ჩვენს საბჭოში, ეხლა ყოველ კრების დროს სავსეა სხვა-და-სხვა ჯურის ხალხით. ვინ გინდათ აქ არ არის და რას არა სჩადის! ზოგი ქაღებს ეარშიყება, იგრიხება და ქაღალდის პარკით რაღაცას უთავაზებს; ზოგი თავის საგმირო საქმეებზე ლაპარაკობს; ზოგი—აღებ-მიცემობაზე და კიდევ რას, ღმერთმან უწყის.

ეს კიდევ არაფერი,—დღეს რომ ჩვენს საბჭოში შებძანდეთ, ვერ გაიგებთ, ხმოსანი ვინ არის და ვინ—გარეშე მაყურებელი: მაყურებელმა ხალხმა ისე აბუჩად აიგდო ჩვენი საბჭო, რომ თავისუფლად შედის ხმოსანთა განყოფილებაში, დაჯდება ხმოსანთა ადგილებზე და მგონი შორს არ არის ის დროც, როცა მოურავის ტახტზედაც ახტება რომელიმე ცელქი მაყურებელი და იქიდგან გადმოგვძახებს: „ციცო“!..

აი, ამნაირ პირობებში მოხდა 22 აპრილს საბჭოს კრება მოურავის დიმიტრიევის თავმჯდომარეობით. პირველს საკითხს შეადგენდა ცალკე მოედნის დანიშვნა გასასყიდლად ჩამორეკილ პირუტყვთა დასაყენებლად, რომ ბეითალს შეეძლოს მათი გასინჯვა. ამ საქმის მოწესრიგება აუცილებელი საჭიროებაა სოხუმისათვის, ჯერ იმიტომ, რომ ბეითალს ეცოდინება რომელს ადგილს მიმართოს პირუტყვთა გასასინჯად და მეორეც ისა, რომ ახლა ამ პირუტყვთაგან ყველგან უსუფთაობაა. საბჭომ გარდასწყვიტა დაინიშნოს მოედანი ბაზარში გასასყიდლად შემოყვანილ პირუტყვთა დასაყენებლად, მაგრამ შეძლება ამ ადგილისა-კი უარჰყო; უამისოდ-კი პირუტყვთა ერთად შეჯგუფება შეუძლებელია.

შემდეგ წაკითხულ იქმნა პროექტი პირობისა, რომლითაც უნდა საჯარო ვაჭრობით გაიცეს მთის წყლების გამოკვლევა და მათი გადაყვანა. სოხუმში მთიდამ რამოდენიმე ნაკადული ჩამოდის, გუბდება უსუფთავო თხრილებში, ლპება შიგ და აყრცებს ათას ნაირს ციებ-ცხელებას. ამ ნაკადულების გადაყვანა და მდინარე წყლებთან შეერთება, რასაკვირველია, დიდად სასარგებლო იქნება ქალაქის სისუფთავისათვის.

საბჭომ მიიღო გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი და დაადგინა გასცეს იჯარით მთის წყლების გამოკვლევა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა პროექტი სავალდებულო დადგენილებისა პირუტყვთა დაკვლის შესახებ. ამ პროექტში, სხვათა-შორის, ნათქვამია, რომ არავის არა აქვს ნება დაჰკლას თავისს ეზოში რაიმე პირუტყვი, არამედ ვალდებულია დასაკლავი პირუტყვი და ფრინველიც საზოგადო სასაკლაოზე წაიყვანოს და იქ დაჰკლასო... ახლა-კი აცქვიტეს ყური ხმოსნებმა: მე რომ ერთი ქათმის დაკვლა მინდოდეს, სად ვიარო ოთხის ვერსის სიშორეზე ბაკშიო, და ისიც, თუ დანიშნულ ვადაზე არ მიდი, უკანვე გამოგაბრუნებენო. და აგრე ხომ ან უსადილოდ და ან უვახშმოდ დავრჩებითო!.. მოურავმა მოახსენა, ასეთია კანონი და რას იზამთო? გაწიწმატებულმა ხმოსნებმა მოითხოვეს წაკითხულ-ყოფილიყო, სად ეწერა ამის შესახებ. მოურავმა გადმოსძახა იქვე მჯდომ ბეითალს,—აბა მონახე შენს კარაბადინშიო და წაგვიკითხე, რა სწერია ამის შესახებო? სჩხრიკა, სჩხრიკა ბეითალმა წიგნი, მაგრამ ვერა მონახა-რა შიგ და ბოლოს იმით დაამშვიდეს ხმოსნები, რომ ეს კანონი მხოლოდ იმათ ეხება, ვინც გასასყიდად ჰკლავს პირუტყვსაო.

მერმე წაკითხულ იქმნა დებულება ახლად აგებულ ქალაქის საავადმყოფოსი. როგორც გაზეთებიდამ გეცოდინებათ, ეს საავადმყოფო აიგო პროფესორის ოსტროუმოვის მეცადინეობით და მის მიერვე და სხვათა ქველ-მოქმედთა შემოწირულებით ქალაქის მიწაზე. საავადმყოფოში იღებენ მოსარჩენად ყოველ-გვარ ავადმყოფს, გარდა გადამდებ სენით ავადმყოფისა. შეიძლება შიგ მოთავსდეს სამოცამდე საწოლი. საავადმყოფო მშვენიერს გორაკზეა აგებული, საიდგანაც თვალის წარმტაცი სურათი ეშლება ადამიანს წინ: როგორც ხელის გულზე, ისე დასცქერი მთელს სოხუმს, მისს მიდამოსა და ზღვას.

ავადმყოფთა გარდასახადი ფასი საკმაოდ შეღავათიანია. 24 საწოლი 15 მანეთიანი იქმნება ყველა ხარჯით და წამლობით; 8—15 სამ. თუმნიანი, სასმელ-საჭმლის გარდა; და 4—8 შვიდ თუმან ნახევრიანი და სასმელ-საჭმლის ფასიც სხვა იქმნება. გარდა ამისა, ოთხი საწოლი პროფესორ ოსტროუმოვისა და მედვედნიკოვის სახელობაზე სრულებით უფასონი იქმნება.

საბჭომ გარდასწყვიტა უწოდოს საავადმყოფოს „ქალაქის საავადმყოფო ოსტროუმოვისა“, დაადგინა დაინიშნოს საპატიო მზრუნველად პროფესორი ოსტროუმოვი და საავადმყოფოს გამგეთ ექიმი გრუზინოვი და ჩამოჰკიდოს საავადმყოფოში ოსტროუმოვისა და მის მეუღლის სურათები.

საბჭომ მადლობა გამოუცხადა პროფესორს ოსტროუმოვს ამ სამადლო საქმეში ასეთის მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის.

საავადმყოფოს არ ექმნება თავისი ამბულატორია, სადაც შეიძლებოდეს მოსიარულე ავადმყოფთა გასინჯვა და წამლობა, უამისოდ-კი ქალაქს მაინც-და-მაინც ბევრს ვერად გამოადგება ოსტროუმოვის საავადმყოფო; ის უფრო მოსულის ხალხისათვის იქნება, ვიდრე ქალაქისათვის. ამ სამკურნალოს ქალაქმა უნდა წელიწადში რვაასი თუმანი აძლიოს.

დაბოლოს, მოურავმა ბ-ნმა დიმიტრიევმა წაუკითხა საბჭოს მის მიერ შედგენილი მოხსენება სოხუმში საშუალო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

სოხუმსაო, სწერდა მოხსენებაში ბ-ნი დიმიტრიევი, შუა ადგილი უჭირავს შავი ზღვის ნაპირად მდებარე იმ ქალაქთა შორის, რომელთაც საშუალო სასწავლებელი არა აქვთო და ამისათვის მას უნდა მიეცეს უპირატესობა, თუ იმ ქალაქებიდგან რომელსამე მიეცა ნება საშუალო სასწავლებლის გახსნისა. გარდა ამისა, თვით სოხუმი იმდენად დიდია მცხოვრებთა რიცხვით, რომ მარტო მისთვისაც აუცილებლად საჭიროა საშუალო სასწავლებლის დაარსება მით უმეტეს, რომ ამ ახლო მომავალში სოხუმზე რკინის გზა გამოივლის და პორტიც გაკეთდებაო (ეხლა აქ არიან ინჟენერები პორტის გამოსაკვლევად).

საბჭომ დაადგინა ეთხოვოს, ვისიც ჯერ-არს, გახსნილ იქმნას სოხუმში რეალურ სასწავლებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეალური სასწავლებლიდგან და კლასიკურ გიმნაზიიდგან ერთი საშუალო ტიპის სასწავლებელი შეჰქმნეს, როგორც ეხლა აზრადა აქვს სახალხო განათლების სამინისტროს,—მაშინ ითხოვონ ამ ტიპის სასწავლებელი დაარსდეს. ითხოვონ, გადაკეთდეს ამნაირ სასწავლებლად ახლანდელი სოხუმის დაბალ ხარისხის „მთიულთა სკოლა“, რომელსაც აღარა აქვს უწინდელი თავისი მნიშვნელობა და, თუ ეს არ მოხერხდა, გადაიდოს ქალაქში საკმაო ადგილი საშუალო სასწავლებლის შენობის ასაგებად, რისთვისაც გამართულ იქმნას ქუთაისის გუბერნიაში ხელის მოწერა.

მექი.

—

კორესპონდენციები

ცეცხლის გაჩენა ჭიათურაში: 28—29 აპრილს ნაშუაღამევის პირველ საათზედ დაბა ჭიათურაში ცეცხლი გაჩნდა ძმათა იასონ და სარიდან ჭუმბურიძის სახლებს და თედორე ხუჯაძის სახლს. ეს ორივე შენობა ორ-ოლ სართულიანები იყო და შიგ თექვსმეტი თვალი სადუქნე და საბინავო ოთახი ჰქონდათ; ქვედა სართულში სამიკიტნო და საწვრიმალო დუქნები იყო, ხოლო ზემოდ საბინაო სახლები.

ცეცხლის წაკიდების დროს დაუწყეს ზარებს რეკა პოლიციაში და რკინის გზის სადგურზედ და, თუმცა ხალხი ახალი ჩაძინებული იყო, 5—10 წუთში მთელი საზოგადოება ცეცხლ-წაკიდებულ სახლს გარს შემოერტყა,—მაგრამ ცეცხლი უკვე გაძლიერებული იყო, არ ჰქონდათ ცეცხლის საქრობი მანქანა და სახლები ერთის საათის განმავლობაში ნაცრად და ფერფლათ იქცა; ხალხის სიმრავლემ, შენი'შნა-რა, ცეცხლ წაკიდებულ სახლებს ველარ გამოვიხსნით შეუბრალებელ ცეცხლისაგანაო, შემოესია იქვე მახლობელ შენობებს და ცეცხლი სხვაგან არ გაუშვა; ცეცხლი რომ მეზობელ სახლებზედ არ გადასულიყო, ერთი წყება ხალხისა ქვითა და ტალახით მისცვივდა ცეცხლს და არსად უშვებდა; მეორე წყება-კი „ვედრებითა“ და ჩაფებით წყალს ასხავდა მახლობელ შენობებს; იმდენი იმეცადინეს, რომ ცეცხლი სხვა სახლებზედ არ მიუშვეს; ამ მეცადინეობას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ იმ ღამეს მეტად წყნარი ღამე იყო, ჰაერს მოძრაობა სრულიადაც არ ემჩნეოდა, არც ქარი, არც ნიავი და არც სიო არ ყოფილა,—ამას გარდა, ცეცხლ წაკიდებულ სახლებს გვერდით მდინარე ჩამოუდიოდა, წინ წყარო შადრევანივით მაღლა ამოჰქუხდა და წყალი და ტალახი ბევრი იყო; ხალხმაც თავგანწირვით დაუწყო ბრძოლა გაშმაგებულ და გაძლიერებულ სტიქიონს. ცეცხლის საქრობ მანქანის როლს ასრულებდა ვენახის სარწყავი მანქანები, რომელიც გასასყიდად მოაქვთ აქ; მეზობელი სახლები გადაარჩინეს დაწვას, მაგრამ თვით ჭუმბურიძეებისა და ხუჯაძეს-კი 6,000 მანეთამდის ზარალი მიეცათ.

წელიწადი ძვირად გაივლის ისე, რომ ჭიათურაში ორჯელ თუ არა ერთხელ მაინც არ გაჩნდეს ცეცხლი და დიდი ზარალი არ მისცეს აქაურებს. ერთი ცეცხლის საქრობი მანქანა მაინც ვერ მოიპოვეს, რომ გაჭირვების დროს დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს. სწორედ სამწუხარო არის ასეთი ჩვენი დაუდევრობა; ვინ არ იცის, რომ ჭიათურაში ყოველ წლივ რაღაც ახირებულ საქმეებში რამდენიმე ათასი მანეთი იხარჯება და 400—500 მანეთი-კი ვერ გამოუმეტნიათ, რომ ცეცხლის საქრობი მანქანა იყიდონ ბაზრის სასარგებლოდ. აქ ორასზედ მეტი იქნება სხვა-და-სხვა სავაჭრო დუქანი და ნუ-თუ თითო დუქანმა 2—3 მანეთი ვერ უნდა შესწიროს თავის თავის დასახსნელად ცეცხლის გაჩენის დროს?

აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბაზარს მუდამ ჰყავს 3—4 ღამის ყარაული, რომელნიც ვაჭართაგან ჯამაგირს იღებენ; ყარაულებათ უმეტეს ნაწილად თათრებს იყენებენ, რომელნიც ჩვენს ხალხს გულ-ცივად და გულუტკივრად უცქერიან. განა, ცოტანი არიან ჩვენში მკვირცხლი და მარდი ცოცხალი გურულები და იმერლები, რომელნიც სიფხიზლით და ერთგულობით არავის არ ჩამოუვარდებიან? სულ რომ რა იყოს, ჩვენიანი ყოველთვის მეტს ერთგულებას გამოიჩენს, ვიდრე ვიღაცა უცხო ტომის გზა-დაბნეული და გადმოხვეწილი. როგორც ამბობენ, ცეცხლი ბოროტ-მოქმედებით უნდა იყოს გაჩენილი.

საჭიროა ჭიათურელმა საზოგადოებამ თავისს საზოგადო საქმეს თითონვე მიაქციოს ფხიზელი ყურადღება და სხვისა იმედი ნურავისი ნუ ექნება. დღეს ბევრი გაიძახის: „ვიყიდოთ საქრობი მანქანა, ამოვირჩიოთ ერთგული ყარაულები და სხვა-და-სხვა“... მაგრამ ხვალ და ზეგ დღევანდელი ნათქვამი არც ერთს არ გაახსენდება; ასეთი დაუდევარია ჩვენი ხალხი საზოგადო საქმეში და არ იქმნა ვერა შევიგნეთ-რა, ვერა ვისწავლეთ-რა.

ბ. ვაშაძე.

—

ცეცხლის მსხვერპლნი

(წერილი ქუთაისიდგან)

29 აპრილი ფერმის ქუჩაზე ჯაჭვის ხიდთან მცხოვრებთათვის (ბესარიონ გიორგობიანის, სოლომონ ედიგაროვის, გაბრიელა მახათაძისა, ძმ. ჭინჭარაძეების, მღ. რეხვიაშვილისა და სხ.) „შავ-ბნელ“ დღეთ გათენდა. პირველ ორს და უკანასკნელს დაეწვათ ორ და სამ-სართულიანი სახლები საცხოვრებელ ბინებით და დუქნებით. გამოტანა ვერც ბინებიდგან და ვერც დუქნებიდგან ვერაფრისა მოასწრეს. მხოლოდ ტიტიოდეს გადაურჩინეს ზოგიერთი საოჯახო ნივთი, მაგრამ გადაყრ-გადმოყრაში სულ დაილეწა, მთელად და უვნებლად არა გადარჩენილა-რა.

დუქნების პატრონებს, ორ მეხილეს (ჯინჭარაძეს და მახათაძეს) მეჩექმეს ფოფხაძეს და მიკიტანს გოგებაშვილს 2—3000 მან. ზარალი აქვთ თვითოეულს, ხოლო სახლის პატრონებს ორი და სამი ამდენი... ბეს. გიორგობიანმა-კი წასულ კვირას ოჯახის იმედი შვილი მე-8 კლასის შეგირდი დამარხა და სწორეზ ცეცხლის უბედურება დაატყდა თავზე, თითქოს ბუნებას თავისს საბედისწეროდ ერთი ადამიანი ჰყავს ამოჩემებულიო.

ცეცხლი გაჩნდა ედიგაროვის დუქანში დილის სამ საათზე. როგორც ჯერ-ჯერობით

ფ Ე Ლ Ე Ტ Ო Ნ Ი

—

ქიზიყის საჭიროება.

(„ტფილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო ბანკის“ ბ-ნნ გამგეთა საყურადღებოდ).

(დასასრული *)

ამას წინად სოფლის მწიგნობარმა მეურნეებმა ქართულს გაზეთებში ამოიკითხეს, რომ „ტფილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ ცდილობს სოფლის ჰირნახულის დაგირავებით ფულის გასესხების საქმის მოწყობასაო: იმათ სხვებს უამბეს და ელვის სისწრაფით მოეფინა ეს სასიამოვნო ამბავი ქიზიყელ მეურნე-მრეწველთა უმრავლესობას, რომელთაც მომმართეს მე ძმურის თხოვნით, დამეწერნა გაზეთში ქიზიყის საჭიროება და მეთხოვნა მათ მაგივრად ხსენებულ ბანკის ბ-ნ გამგეთათვის, რათა მათ მიიღონ მხედველობაში ქიზიყის დიდ-ძალი ნაწარმოები მეურნეობა-მრეწველობისა, მისი საძალ-ღონედ გამხდარი ყოფა-მდგომარეობა და, თუ შესაძლებელია, მალე მოუხერხონ როგორმე ტფილისში ჯერ-ჯერობით მატყლისა და თამბაქოს საწყობი მაინც და ამ ნაწარმოებთა დაგირავებით ფულის სესხება გირაოს გასყიდვამდის.

დიდი საქმეა ეს და მართლაც, თუ განხორციელდება როგორმე, ჯერ პირველად თამბაქოს საწყობიდამ უნდა დაიწყოს საქმე [1]), და მერე მოჰყვებოდა მას პარტიით დამგირავებელ-გამსყიდველი საწყობი მატყლისა, სარდაფი ღვინისა და ელევატორი სულადისა, რომელთა მილიონების აღებ-მიცემობა,—თქმა აღარ უნდა,—ძირიან-ფესვიანად შესცვლიდა და გააუმჯობესებდა ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, სწავლა-განათლების საქმეს და კეთილ-ზნეობისა და ჯან-მრთელობის მცველ-მფარველობას.

დიაღ, მოუწყეთ კეთილ-გონივრულად სოფლის მეურნე-მრეწველ ხალხს მრავალნაირად ხელის წამმართავი და მძარცველ-მგლეჯავთა კლანჭებიდგან თავის დასაღწევი კრედიტი; გაუხსენით სახეირო ბაზარი შინ და გარეთ მის მასულდგმულებელ მეურნეობა-მრეწველობის ათასგვარ ნაწარმოებს, ააცილეთ თავიდგან თავისი მაცხოვრებელ ჰირნახულის დამღუპავი სეტყვა სეტყვისავე გამქარწყლებელ ზარბაზნებით, დაუარსეთ სამეურნეო იარაღებისა, წამლებისა და ყოველგვარ სავაჭრო საქონლის ნაკლებ-ფასად გამსყიდველი დუქანი, და აი ეს ოთხი რამ მეურნეთა ქვეყნის კეთილ-დღეობის საიმედო ღედაბურჯნი მოახდენენ ისეთ ძირითად ცვლილებას სოფლის ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რომ მაშინ შეიძლება ვსთქვათ: ქონებით ფიტ-მოკრულ და წელ-გამაგრებულ ხალხის ბედს ეხლა-კი ძალლიც ველარ დაჰყეფავსო. და ვერცარას ერთისა და ორის წლის მოუსავლობა დააკლებს მაშინ ხალხს, რადგანაც ყოველ წუთში მზათ ექნება ყვითელი ოქრო შავის დღისათვის.

დიდად საკეთილო და სახეირო იქმნებოდა, როგორც ბ-ნი ს. გლახაშვილიც ამბობს „ივერია“-ში (№ 65), ხსენებულმა ბანკმა რომ რამდენსამე მაზრაში მოაწყოს თითო სააგენტო, რომელსაც დიდი აღებ-მიცემობა ექნებოდა: მრავალნი სხვა-და-სხვა წოდებისანი შეიტანდნენ ფულს შესანახად იმ ბანკის სამაზრო განყოფილებაში და მრავალნივე გამოიტანდნენ ათასგვარ საქმეების საწარმოებლად. ამასთანავე ესაც უნდა დავუმატოთ, რომ სამეურნეო ბანკის განყოფილება-სააგენტო თითო მაზრაში გაჰყიდდა წლის-წლობამდის სამეურნეო იარაღებს და წამლებს რამდენისამე ათი ათას თუმნისას, რომელიც დღეს მრავალ კერძო ვაჭრების ჯიბეში ჩადის, და სამწუხარო-კი ის არის, რომ სამეურნეო იარაღებისა და წამლების [2]) ღირსებასა და ფასებში დიდად ატყუებენ მუშტრებს, ატყუებენ აგრეთვე წონაშიაც და ხშირად ანგარიშშიაც ბეჩავ ხალხს.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებას ჯერ მარტო ქიზიყში რამდენიმე მილიონის აღებ-მიცემობა ექნებოდა, თუ-კი თავისს ოპერაციებს და გეგმას მოქმედებისას მათემატიკურის სისწორით შეუთანხმებდა და შეუწყობდა ადგილობრივ მცხოვრებთა მრავალგვარ საჭიროებას და მეურნეობა-მრეწველობის დღითი-დღე ზრდასა და განვითარებას. დიაღ, „ერთი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“.

თუ კი მოიწადინებდნენ სამეურნეო ბანკის მოთავენი თავ-შეუდებელ მეურნეთა ქვეყნის საკეთილო მცველ-მფარველობას, მაშინ თვით იმავე სამეურნეო ბანკს შეუძლიან გახდეს უთვალავ მეურნე ხალხის კეთილ-დღეობის დედა-ბოძად, ესე იგი აძლიოს ხალხს ხელის წამმართავი კრედიტი, გაუხსნას სახეირო ბაზარი შინ და გარეთ მეურნეობა-მრეწველობის ათასნაირ ნაწარმოებს, ასყიდოს მცირე მოგებით მეურნე-მომხმარებელთ სხვათა ქვეყნის საჭირო-საუკეთესო ნაწარმოები და მოუწყოს სეტყვის გამქარწყლებელი ზარბაზნების ფანჩატურებიც.

აი საქმე, თუ გვინდა! აი, დიდი და ვრცელი ასპარეზი მოქმედებისა და აი, სად უნდა გამოიჩინონ დავრდომილ სამშობლო ქვეყნისათვის ყველა გულ-შემატკივრებმა თავიანთ სწავლა-ცოდნით გამოცდილების საკეთილო მოქმედება და ძლევა-მოსილის ენერგიით ყოველ დაბრკოლების დამთრგუნველი გამჭრიახობა.

ნუ ჰბრძანებთ, რომ ვითომ სოფლის ნაწარმოებთა ავ-კარგის მცოდნენი არ მოგვეპოვებოდნენ სოფლად. დიაღაც მოგვეპოვებიან და დღესაც კაპიტალისტები სიღნაღის მაზრაში უფრო ქართველების საქმის ზედმიწევნით მცოდნე შუამავლობით სყიდულობენ მილიონების მრავალ-ნაირ ნაწარმოებს მეურნეობა-მრეწველობისას.

უცხო ტომის ვაჭართაგან თავიანთ საქმეში ქართველების ჩარევის მიზეზი ის გახლავთ, რომ ადგილობრივმა ქართველებმა უფრო უკეთ იციან ახლო-მახლო სოფლების მოძმე ხალხის ავლა-დიდება: ვის რამდენი და რა თვისების ღვინო-სულადი, თამბაქო-მატყლი და სხვა რამ მოსდის, ან ვინ როგორი პირისა, ნამუსისა და შეძლების პატრონია, ვის რამდენი ფული შეიძლება ანდოს ვაჭარმა თამასუქით მისგან რომელისამე ჰირნახულის მიღებამდის და სხვანი.

იმ შუამავალ ქართველებში ბევრნი ისეთი შეგნებულნიც ურევიან, რომ სულითა და გულით სწყურიანთ ქართველთა სამეურნეო-სამრეწველო აღებ-მიცემობის ქართველთა კაპიტალის ხელში ჩავარდნა, მაგრამ რას იზამ,—ძალა აღმართსა ჰხნავსო,—და ესეც უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: ურიის პურის მჭამელმა ხმალიც ურიისა უნდა მოიქნიოსო. დღეს თუ სამეურნეო-სამრეწველო აღებ-მიცემობის საქმეთა მცოდნე ქართველების ძალ-ღონე და

---

*) იხ. „ივერია“ № 92.

[1]) მაგალითად: გუთნები, სამკალ-სალეწი მანქანები, ვაზის სასხურებლები, საბერვლები, მაკრატლები, შაბიამანი, გოგირდი და სხვანი.

[2]) მეთამბაქოობას ახლად მიჩვეული ქიზიყი ჯერ ხნობით ნახევარ მილიონის თამბაქოს იძლევა წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირკვა, ცეცხლი დუქანში მყოფ პატარა ბიჭისაგან გაჩენილა. დაწოლისას დარჩენილა ანთებული სანთელი, რომელიც, დამწვარა თუ არა, მოჰკიდებია საქონელს და ნავთზე გადაპული უცებ მოსდებია ყოველსავე. შეშინებული ბავშვი იქით სცემია, აქეთ სცემია, მაგრამ მარტო ან-კი რას გახდებოდა და საჩქაროდ მთელ დუქანში გაბრიალებულმა ცეცხლის ალმა სახურავშიაც აატანა და მეზობლებმა მხოლოდ ბავშვის წივილ-კივილზე გაიგეს ცეცხლის გაჩენა.

რადგან ახლო-მახლო პოლიციელი სანთლით საძებნელი შეიქმნა, პოლიციაში შესატყობინებლად და ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსაყვანადაც ისევ მეზობლები გაიქცნენ. საყდრისკენ გაქცეულმა კაცმაც ტკბილ ძილს მიცემული დამთვრალი ყარაული ძლივს-ძლივობით გააღვიძა და აგერ ძლივს ზარების რეკაც მოისმა. ამასობაში ედიგაროვ-რეხვიაშვილის სამ-სართულიანი სახლი თითქმის მთლად დაიბუგა და, როგორც იქნა, 4 საათზე ათიოდე ძილ-დამფრთხალი პოლიციელიც, თვისის ღირსეულ მეთაურით მოძუნძლდნენ და დაიწყეს „რასპორიაჟენიების“ გაცემა.

ნახევარ საათის შემდეგ ცეცხლის მქრობელი რაზმი მოგრიალდა და, ერთ ხანს საქაჩავებში წყალის ჩასხმის, მილების გასწორებისა და მომართვის შემდეგ, შეუდგა შორი-ახლოდგან წყლის შხაპუნს და უბედურთა დახმარებას. მაგრამ ქუთათურ ცეცხლის მქრობელ რაზმის მოწყობილობით განსაცდელისაგან ხსნა ხომ სასწაულთ-მოქმედება იქნებოდა. ხოლო სასწაული ჩვენს ცოდვილ დროში, ყველამ ვიცით, აღარ ჰხდება ხოლმე!.. საუბედუროდ, ამ დროს ალიონზედ ქუთაისის თავ-მომაბეზრებელი სტუმარი—ზენა ქარიც ამოვარდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ქუთათურ საჭყვპელეებით აღარ შეიძლებოდა. თუმცა ყოველივე ეს უბედურების სცენა რიონის პირად, 5—6 საჟენის მოშორებით მოჰხდა, ცეცხლის მქრობელი რაზმი უწყლობის გამო მაინც ჩერდებოდა ხოლმე.

ქარმა ცეცხლი მეზობელ სახლებზედაც გადაიტანა და 2—3 მათ შორის შესამჩნევად დააზიანა. მეზობელ მცხოვრებლებს რომ სიმარჯვე არ გამოეჩინათ, ახლო-მახლო 10—15 სახლამდე გადაიწვოდა.

რამდენს ემუღარა დამსწრეთ [illegible]ხაძე, რომელიც ცხვირ-პირ და ხელ-ფეხ შეტრუსულ-დასისხლიანებული [illegible] პერანგის ამარა გამოვარდა ცეცხლის ალიდგან და ქუჩაში გაბრაზებული გაიძახოდა: უშველეთ, ჩემს დუქანში ჩემთან ერთად სტუმარი (ეს იყო მისი ბიძაშვილი ნესტორ რაზმაძე, რაჭის სოფელ შორიდგან, წინ დღით ქუთაისიდგან ჩამოსული და მასთან სტუმრად მყოფი) იწვა, მან გამოსვლა ველარ მოასწრო და შიგ დარჩა; მაგრამ ეს მისი მუღარა იყო „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. პირ-იქით იგი შეშლილი ეგონათ და ორჯერ-სამჯერ კისერშიაც წაუთავაზეს და პოლიციაში წაყვანაც-კი დაუპირეს. გულშემატკივარნი-კი ურჩევდნენ ექიმთან წასულიყო და დამწვარ სხეულისათვის ეწამლებინა, მაგრამ ნათესაურ-ადამიანურმა გრძნობამ იგი უბედურებას არ მოაშორა, შიშველ-ტიტველი დაბრუნდა სახლში და გაიძახოდა: ვაიმე, ძმაო, რავარი მასპინძლობა გაგიწიე, ვაი მეო!

ასე იწრიალა მან ნაშუადღევამდე, სანამ ცეცხლი არ ჩაქრა და მაშინ-კი ჰნახა, რომ მართლა ვერაფერი მეგობრობა გაეწია ბიძაშვილისათვის იმ ღამეს თავისს დუქანში დასაწოლად დაპატიჟებით. მან და მასთან ყველა დამსწრემ დაინახა სააღდგომო გოჭივით შემწვარი, აქა-იქ შეხრუკულ ხორციდგან ძვლებ ნაჩენი მკვდარი სხეული ადამიანისა და თავში ხელ-შემოკრულმა დაიძახა: აი, ამაზე ველმერთებოდი კაცია ჩემს დუქანში, ნუ დასწვავთო.

ნაშუადღევს ადამიანთა ამ ორ მსხვერპლს მესამეც მიჰყვა. ერთი დაზარალებულთაგანი, ჩეხილე ჯინჭარაძე მივიდა თავისს დამწვარ დუქანში და დაუწყო ჯოხით ღველფს შლა იქნება ნივთი რამ, ან ფული ვნახოო. ამ დროს იგი ორივ ფეხებით მუხლამდე ჩავარდა ამ გახურებულ ღველფში, სადაც დაუნაყავი მარილის გროვაც ყოფილა და სულ ერთიანად გაიყვლიფა მუხლამდე. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს და ჯერ არ იციან, გადარჩება თუ არა.

29 აპრილს ცეცხლი უეჭველად მთელ დღეს გასტანდა, რომ იქვე მცხოვრებ მ. ქუთათელაძეს ძალით არ გადაეყვანა ცეცხლის მქრობელთა ერთი ნაწილი ქუჩის მეორე თავში, საითკენაც ქარს ცეცხლი მიჰქონდა და იქიდგან არ დაეწყოთ ქრობა.

აი, ასეთის უბედურების და ამბების მოწმენი გავხდით ჩვენ დღეს—29 აპრილს, და ამასთან შედარებაც არ შეიძლება ამ ორის თვის წინად ურიების უბანში ცეცხლისაგან მომხდარ უბედურებისა.

ისო.

ქ. გორი. ყოველ დილით, ქუჩაში გავლისას, უსათუოდ შეჰხვდება კაცი მომჩივარს ქურდობაზედ. ზოგი დაკარგულ კალოშებს დაეძებს, ზოგი ქვაბებს, ზოგი ტანისამოსს და ზოგი კიდევ ვინ იცის რას. საკვირველია სწორედ, რომ ქურდ-ბაცაცა ვაჟბატონები უშიშრად დანავარდობენ ყველგან. კაცს არ დააცლიან კალოშების გახდის შემდეგ ოთახში შესვლას, მაშინათვე მისცვივდებიან და გაარბევინებენ. იმათის შიშით მცხოვრებთ ავეჯი ველარ გამოუტანიათ ეზოში; თუ დარაჯი არ მიუყენეს, მაშინათვე ჩაიყლაპება. ამას წინად შუადღისას გაქურდეს ნ. გედევანიშვილის ქვრივის სახლი, საიდგანაც წაიღეს 400 მანეთამდე ფული და ოქროს ნივთეულობა. არა ერთხელ ჩასცვივნიან ეს ვაჟბატონები პოლიციის ხელში, მოპარული ნივთებიც აღმოუჩენიათ, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ გაუნთავისუფლებიათ და დღესაც არხეინად ქუჩა-ქუჩა დასეირნობენ და ზვერავენ ეზოებს.

ქმერტელი.

ქუთაისი. 23 აპრილს, საღამოს 9 საათზე, აქ დაიჭირეს კატორგიდგან გამოქცეუ[illegible] ირაკლი ასათიანი. [illegible] აღმოჩნდა, რომ ეს ყოფილა 12 წლით კატორღაში გაგზავნილი ლეჩხუმელი აზნაური, რომელსაც ამ სამის თუ ოთხის წლის წინად ჰბრალდებოდა ლეჩხუმის მაზრის მონასტრის „ნამარნევის“ არქიმანდრიტის თავ-დასხმა და გაძარცვა და რომლისთვისაც 1899 წელს გაგზავნილი იყო კატორგაში. იგი, როგორც თითონ სთქვა, წამოსულა 1901 წ. და ერთი წელიწადი ტყეში იმალებოდა; დაჭერის დროს ზედ ერტყა ხანჯალი, ჰქონდა რევოლვერი, ბერდანკა, ტყვია-პატრონები და ორი ყალბი პასპორტი; ასათიანი შეპყრობილია და გამოძიება სწარმოებს...

თარხანი.

ს. ხოვლე (გორის მაზრა). ქურდობა, ჯორიკანობა, ქურდ-ბაცაცობა და სხვა-და სხვა გვარი ბოროტ მოქმედება ჯერაც არ შემწყდარა ამ ჩვენ კურთხეულ სოფელში; პირ-იქით უფრო ვრცელდება კიდეც. ქურდობასთან ერთად საქმე გაგვიჭირა ჭორებმა და ენა-ტანიობამ. ამ საქმეს უფრო ქალები გულ მოდგინეობენ. საძაგელ ენის მიტან-მოტანას ჰყვებიან კაცებიც და ამას ზოგჯერ ისეთი ბოლო მოჰყვება ხოლმე, რომ საშვილიშვილო მტრობასა ჰბადებს ურთიერთ შორის. არიან იმისთანა ღირს-შესანიშნავი მანდილოსნნიც, რომელნიც, ჩვენ, მამაკაცთ, მარჯვენას ყურს მარცხენისაგან გადაგვასაცვლებინებენ და მარცხენას მარჯვენისაკენ, უფრო ხშირათ-კი ქალწულ რწყილ მოალოგინებენ და ვეებერთელა აქლემს ამობინებენ.

მამაკაცებიც არ ჩამორჩებიან უკან მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთ: ერთმანეთის მტრობით სული გვძვრება, სასიკვდილოდ არ დავზოგავთ, თუ მოხერხებულად გავაბით ქსელში. ასე გასინჯეთ, ზოგიერთები ისე დაეცნენ სულით და ზნეობით, რომ დამის რაინდებსაც-კი ასწავლიან გზას მეზობლის გასაძარცვავად. ორს აპრილს, ღამე, ამნაირის ოინბაზობით მიგზავნეს შინაურმა „თოთოთანთ ქორებმა“ „ჩვენის ქვეყნის დამის რაინდნი“ თავ. გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის სახლში, როცა ის სახლში არ იყო და სულ ერთიანად გაძარცვეს. წაიღეს: ერთი დიდი ხალი, ოც-და-ათ თუმნად ღირებული, ფარდაგები, მუთაქები, ლეიბები და სხ. მეორე დღეს გაჩნდა თითონ პატრონი და თქვენს მტერს, რომ იმას პირს კატა ეცა. მაშინვე გაქანდა გორის მაზრის უფროსთან. ამან თავისს მხრივ გამოგზავნა ბოქაული გოგოხია «სტრაჟნიკებით» და შეუდგნენ ფეხზედ გამოძიებას. დიდი ხალი შეშინებულმა ქურდ-ბაცაცებმა ვეღარ წაიღეს შორს და იქვე სოფლის განაპირას ძეძვებში მიმალეს; დანარჩენმა ნივთებმა-კი ჩაიდუღის წყალი მიირთვეს, კვალ-წმინდათ ჩაიდაზნენ. ხსენებულმა ბოქაულმა პირის მირთმევის შემდეგ, „სტრაჟნიკები“ დასტოვა ს. ხოვლეში მეორე დღისათვის ყოველ ოჯახში «ობისკის» გასაკეთებლათ. ბევრი სახლები გაჩხრიკეს და ბევრი გლეხი დააპატიმრეს, მაგრამ ქურდობისთვის-კი არა, ჩუმად (უპატენტოდ) არაყის ხდისათვის. ამ გლეხთ განონით, ჯარიმის გარდა, გადაჰხდებათ ორ-ორის თვით დატუსაღება.

შაქრო ჯავახიშვილი.

რუსეთი

შემოდგომაზედ რკინის გზები დაჰმართავენ საზოგადო განათლების სკოლებს.

— გზათა მინისტრმა ბრძანა რკინის გზის მკურნალთა სათათბირო კრებაზედ განხილულ იქმნას საქმე პასტერის ინსტიტუტისა და ყვავილის აცრის დაწესებულებათა დამართვისა ცალკე რკინის გზებზედაო.

— სახაზინო რკინის გზის მმართველობასთან უნდა იმართებოდეს ლექციების კითხვა მოძრაობის სამსახურისა და ტელეგრაფის საქმის შესახებ მდაბალ მოსამსახურეთა მოსამზადებლად და მათ მიერ უფრო მაღალ თანამდებობათა დასაჭერად.

— პრაგის ერთი გაზეთი იუწყება, რომ ჩეხთა აკადემიამ აირჩია გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი საპატიო წევრად და, წესდების თანახმად, წარუდგინა ეს გარდაწყვეტილება აკადემიის მფარველ ერც-ჰერცოგს ფრანც-ფერდინანდს, რომელსაც თავისს მხრივ უნდა წარედგინა იგი დასამტკიცებლად იმპერატორისათვისაო. ერც-ჰერცოგს, რომელიც ცნობილია თვისის ერთგულ კათოლიკობით და საკათოლიკო-სამღვდელოებო აზრებით, თვითვე ამოუშლია სხვათა არჩეულთა შორის სახელი ტოლსტოის სიიდან და მხოლოდ სხვა არჩეულნი წარუდგენია დასამტკიცებლად.

— უმაღლესად დაარსებულს სათათბირო დაწესებულებას სოფლის მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად უკვე მისდის ამ ჟამად მოხსენებანი ცალკე კომიტეტებისა, რომლებიც არჩეულია ადგილობრივ ამა თუ იმ რაიონის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის აღწერად და გასათვალისწინებლად. მოხსენებაში აღნიშნულია, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ განკარგდეს სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა.

— 26 აპრილს, მათ უდიდებულესობათ ინახულეს საზამთრო სასახლეში საიმპერატორო საარხეოლოგო კომისია და დაათვალიერეს სხვა-და-სხვა საარხეოლოგო ნივთების კოლექცია. სხვათა-შორის, მათ უდიდებულესობათ გასინჯეს კოლექცია ძველ ბერძენთა ნივთებისა, რომელიც ეკუთვნის მე-2 საუკუნეს ქრ. დაბადებამდე და რომელიც ნაპოვნია ხერსონესის მახლობლად. დაათვალიერეს აგრეთვე ბ-ნ რესლერის მიერ ნაპოვნი ნივთები ამიერ-კავკასიაში, მაგალითად, კიზილვანის მონასტრის ახლოს მდ. არეზის ნაპირად. ყველა ეს საგანი და ნივთი ეკუთვნის მე-XV საუკუნეს ქრისტეს დაბადებამდე და ყველა იმ ნივთებზედ უძველესია, რომელიც-კი დღემდე ნაპოვნია და აღმოჩენილი.

— შაქრის ქარხნის პატრონებს ძალიან ემდურებიან რუსეთში: აძვირებენ შაქარსა და ტყავს აძრობენ ხალხსაო. შაქრის მწარმოებელთ ამხანაგობა აქვთ შედგენილი, ერთს პირზედ დგანან და, როცა უნდათ, მაშინ უმატებენ ფასს თავის საქონელს მომხმარებელთა გასაყვლეფათ და თავიანთ ჯიბის გასასქელებლადაო. ამის მიზეზია ის, რომ მთავრობა ჯილდოს აძლევს ქარხნის პატრონს, როცა იმას შაქარი საზღვარ-გარეთ გააქვსო. მთავრობამ უნდა მოსპოს ეს პრემიები. მაშინ, რაც მეტია შაქარი, რუსეთშივე დარჩება და ეს უსაჭიროესი საქონელი გაიაფდებაო.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისელებს ერთი პატრიოტული სიმღერა აქვთ, რომელიც ამ სიტყვებით იწყობა: „იბატონე, ბრიტანიავ, ზღვებზედაო“. ეს სიმღერა პატრიოტებს მუდამ პირზედ აკერიათ, განსაკუთრებით ომის დროს. ბატონობდა კიდეც დღემდე ბრიტანია ზღვებზედ, მაგრამ დღეის შემდეგაც იბატონებს თუ არა, ეს, ცოტა არ იყოს, ბოლოს დროს საეჭვო შეიქმნა. ბატონობის სასწორი თანდათან შეერთებულ შტატებისაკენ იხრება, რომლის მილიარდერებიც თავიანთის მილიარდებით იმას ახერხებენ, რასაც ძლიერი და მრისხანე სახელმწიფონი უთვალავის თოფ-ზარბაზნით აქამდე ვერ ახერხებდნენ. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი—„ფული ჯოჯოხეთს ანათებსო“, ამერიკის მოქალაქეებმა კარგად უწყიან ფულის ასეთი ძალა და ლამობენ მთელის ქვეყნის აღებ-მიცემობის, ვაჭრობა-მრეწველობისა და ნაოსნობის ხელთ ჩაგდებას. იმათ სინდიკატებს ვერაფერი უმაგრდება, ვერაფერი ეღობება წინ. ამავე ფულის წყალობაა, რომ ახალმა სინდიკატმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკელი ნაპოლეონი მორგანი, შეისყიდა და შეიერთა, ორის გარდა, ინგლისელთა ის სანაოსნო საზოგადოებანი, რომელნიც ატლანტიის ზღვაზედ მუშაობენ. შეუძლებელია, რომ ეს ორი საზოგადოებაც ბოლოს მორგანს არ ჩაუვარდეს ხელში. ასე რომ მალე ინგლისს ატლანტიის ზღვაზედ სავაჭრო ფლოტი აღარ ეყოლება. ამ ჟამად მორგანს მოლაპარაკება აქვს ჰოლანდიის, გერმანიის და საფრანგეთის სანაოსნო საზოგადოებებთან და გაზეთები სწერენ, რომ მორგანი იმათაც დაიყოლიებს და დაიმორჩილებსო. ამბობენ, კიდევ, რომ მორგანი იმ სანაოსნო საზოგადოებათა შეერთებასაც აპირებს, რომელთა გემებიც დიდ ოკეანეში დაცურავს. ამ რიგად ამერიკელ მილიარდერს მთელის ქვეყნის ნაოსნობის „დაპყრობა“ განუზრახავს. ინგლისელნი ძალიან სწუხან და შფოთავენ ამის გამო. ლიბერალური და კონსერვატიული გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ ამერიკელთა ზღვაზედ ბატონობისაგან ინგლისს განსაცდელი მოელისო. ისინი ინგლისელთა პატრიოტიზმს იგონებენ და ურჩევენ ყველას, ნუ უღალატებთ საერო პრინციპებს და ნუ ჩაუგდებთ ყველაფერს ხელში ამერიკელებსაო. მაგრამ ინგლისელებმა ყველაზედ კარგად უნდა იცოდნენ, რომ კაპიტალმა სამშობლო და პატრიოტიზმი არ უწყის. იქ სადაც ფული მოქმედებს, პატრიოტიზმი ქედს იხრის. დიდი ხანია ინგლისში ისეთი აურ-ზაური არ აუტეხიათ, როგორც ეხლა ასტეხეს ამ საქმის გამო. აი ერთი კონსერვატიული გაზეთი „Commerce“ რასა სწერს და როგორ აშინებს საზოგადოებას: „ერმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი სანაოსნო საზოგადოებანი ხელს უწყობენ იმ მოძრაობას, რომელსაც შედეგად სოციალური რეფორმა მოსდევს. მდიდარ და უზარ-მაზარ ტრესტების დაარსება და ფულის რამდენისამე კაცის ხელში მოგროვება თვით-მპყრობელად გახდის კაპიტალისტთა მცირე გუნდს. აქედგან შორს აღარაა ტირანია. დარწმუნებულნი ვართ, როდესაც ხალხი ყოველსავე ამას მოისაზრებს, იტყვის: „თუ კაპიტალი უეჭველად უნდა გაერთიანდეს, დეე ეს კაპიტალი კერძო კაცთა ხელში-კი არა, მთელის საზოგადოების ხელში იყოსო“. ტრესტი მხოლოდ უკანასკნელი საფეხურია იმ კიბისა, რომლის სათავეშიაც სახელმწიფო კოლექტივიზმია“. ამ რიგად გაზეთი აშინებს საზოგადოებას, თუ ასე მოიქცევით და სანაოსნო საზოგადოებას ტრესტებს ჩაუგდებთ ხელში, კოლექტივიზმი აუცილებელი იქმნებაო. რამდენად განსხვავდება კაცთა შეხედულება: კონსერვატორნი მავნებლად სთვლიან კოლექტივიზს, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატნი მშვიდობიანობას და კაცთა შორის სათნოებას ამ კოლექტივიზმისაგან მოელიან.

ოსმალეთი. ამ ბოლოს დროს, როგორც მოგეხსენებათ, მაკედონია მთელის ევროპის სალაპარაკოდ გადაიქცა. გაზეთები სავსეა მაკედონიის ამბებით. ზოგნი სწერენ, მაკედონიაში დიდი არეულობააო. ზოგნი კიდევ — მშვიდობიანობააო. ამის გამო ბოლგარული გაზეთი „ვეჩერნაია პოსტა“ იწვევს ევროპისა და ამერიკის ჟურნალისტებს და სთხოვს ამოირჩიონ თავიანთ შორის კომისია და გაგზავნონ იგი მაკედონიაში საქმის გამოსაკვლევად და ჭეშმარიტების გასაგებად. ყოველგვარ ხარჯს ეს გაზეთი კისრულობს. აი, თვით გაზეთის სიტყვები: ,,ორ გვარად ვრცელდება მაკედონიის ამბები: ერთნი სწერენ, რომ მაკედონიის მდგომარეობა აუტანელია, იქ ტერორი და ძალ-მომრეობაა გაბატონებულიო. ეს გაზეთები ოსმალურ რეჟიმსა და ოსმალეთის მთავრობას ამტყუნებენ. მეორენი წინააღმდეგს ამტკიცებენ. იმათის აზრით, მაკედონიაში მშვიდობიანობაა, ოსმალეთს ცილსა სწამებენ და საქმეს აზვიადებენ. აშკარაა, რომ აქედგან ერთი უნდა იყოს მართალი. რათა ევროპას შეეძლოს სიმართლის გაგება, ,,ვეჩერ. ფოსტა'' იწვევს ევროპისა და ამერიკის პრესსას, ამოირჩიოს კომისია მაკედონიისა და ადრიანოპოლის საქმეთა გამოსაკვლევად. ყოველ გვარ ხარჯს ჩვენი რედაქცია კისრულობსო. ამ აზრით ქვემოდ დასახელებულ სახელმწიფოების პუბლიცისტთა კორპორაციამ თავის შორის თითო კორესპონდენტი უნდა აირჩიოს. აი ის სახელმწიფონი, რომელთაც თითო კორესპონდენტი უნდა გამოგზავნონ: ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შტატები, იტალია, ავსტრია, გერმანია, რუსეთი, რუმინია, სერბია და ბოლგარია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამოკალმენი მიიღებენ ამ წინადადებას და ხელს შეუწყობენ სიმართლის გამოკვლევას“.

ავსტრ-უნგრეთი. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პოლონელთა კლუბის პრეზიდენტმა იავორსკიმ არ მოისურვა თავმჯდომარეობა ავსტრ-უნგრეთის დელეგაციაში. იავორსკის არ უნდოდა ამ დელეგაციაში თანაგრძნობა გამოეცხადებინა სამთა კავშირისათვის, რადგანაც ერთი წევრი ამ კავშირისა, გერმანია, ავიწროებს პოლონელებს, იავორსკის თანამემამულეებს. პოლონელებთან ერთად ამ ამბავს სიხარულით მიეგებნენ ჩეხნიც. აი, ერთი ჩეხური გაზეთი რას სწერს: „გერმანიის მთავრობა ყოველ ღონესა ხმარობდა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა პოლონელთა საერო გრძნობისათვის. პოლონელებს ჯერ გერმანიაში სდევნიდნენ, შემდეგ სლავიანთა დევნა გერმანელებმა ავსტრიაში გადმოიტანეს. ავსტრიაში გერმანელები გულ-მოდგინედ შეუდგნენ სლავიანთა შორის პროტესტანტიზმის პროპაგანდას. გერმანელებმა ავსტრიაში ყველანი გადაიმტერეს, თვით გერმანელი კათოლიკენიც-კი. იმათ მხარეს ეხლა არის მხოლოდ ლიბერალთა და ნაროდნიკთა ერთი მუჭა. უნგრელნიც-კი, რომელთაც გერმანელნი საუკეთესო მეგობრებად სთვლიდნენ, გეზად უყურებენ ეხლა გერმანიას და პანგერმანელებს“.

სამხრეთ-აფრიკის ომი. სამხრეთ აფრიკის ომის შესახებ სიმართლე ველარავის გაუგია. არაფერს იუწყებიან არც ბრძოლის და არც მოლაპარაკების შესახებ. თითო-ოროლა ცნობას ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ მხოლოდ. აი, რასა სწერს „Daily Telegraph“-ი: „ბურები მზად არიან ომის მოსპობას, მხოლოდ თხოულობენ ზოგიერთ პირობათა მიღებას. ისინი წინააღმდეგნი არ არიან ინგლისის უზენაესობისა ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკებში, მხოლოდ თხოულობენ ამ რესპუბლიკებს საშინაო საქმეებში სრული თავისუფლება მიენიჭოთ. ამას გარდა საჭიროდ სცნობენ ფერმების აღდგენას, რისთვისაც 30 მილიონ მანეთამდე უნდა იქმნას გადადებული. თხოულობენ აგრეთვე ამნისტიას კაპისა, ნატალისა და სხვა ადგილების აჯანყებულთათვის. არ ვიცით, მთავრობა თანახმაა თუ არა ამ პირობებისა. მეორე გაზეთი „Daily Express“-ი სწერს: „ადვილი გა-

---

საქმიანობა ძლევა-მოსილ კაპიტალის სიმძლავრით ქართველთავე წინააღმდეგ მოქმედებს ძალაუნებურად, მაშინ ისინიც თავიანთ სამშობლოს საკეთილ-დღეოდ იმოქმედებდნენ დიდის სიამოვნებით, როდესაც ქართველთა კაპიტალი მოძმე-მეურნე-მრეწველთა ხსნასა და შველას მოიწადინებს.

მოგვეცათ ღვთის წყალობა, რომ მაშინ ქონებით ფიტ-მოკრული ხალხი სხვა-და-სხვა ტიპის სასწავლებელსაც და საეკურნალოებსაც სიხარულით დაიარსებდა ყველგან, საუკეთესო ჟურნალ-გაზეთ-წიგნებიც ცხოველ-მყოფელ მზის სხივებივით მოეფინებოდა სიღატაკის ქირ-ვარამის ზღვიდამ თავ-დახწეულ სოფლებს და სხვა ასი-ათასნაირი საკეთილო საქმენიც დაუყოვნებლივ აღმოცენდებოდნენ ქვეყნის ათას ფერად მამშვენებელ ძალ-მადლიან ქონების წყალობით. ტყუილად-კი არ ამბობს ჩვენი ხალხი: ფული ნატვრის თვალიაო, მეორე ღმერთიაო, ხმალ-ამოღებული ხელმწიფეაო.

აი, სწორედ მაშინ შეიძლებდნენ ქიზიყელნი მეთამბაქოენიც და მეცხვარენიც საამხანაგო თამბაქოს ქარხნების და ჩასაცმელ-დასახურ შალების, საცალო-ხურჯინების ნაბად-იაპანჯებისა და ხალიჩა-ფარდაგების ფაბრიკების დაარსებასაც, სადაც უთვალავ ქართველ მუშებს, კაცებსაც და დედაკაცებსაც, ქალებსაც და ბიჭებსაც წლის-წლობამდის გაუწყვეტელი სამუშაო გაუჩნდებოდათ ლუკმა პურის საშოვნელად, რისთვისაც დღეს ძალაუნებურად ათასგვარ უზნეობა-დანაშაულობას სჩადიან თავისა და ქვეყნის სავალალოდ.

დიაღ, ბევრი რამ საკეთილო გაკეთდებოდა მაშინ ჩვენის მრავალ-წამებულ ქვეყნისათვის იმ ყოვლად-შემძლე ნატრის-თვალისებური კაპიტალის წყალობით, და აკი ქიზიყის მრავალნი მეურნე-მრეწველნიც ამისათვის ნატრობენ გულ-მხურვალედ, რომ მათი ხმა ეხლა მაინც აღარ დარჩეს ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა და თამბაქოს საწყობი მაინც მოუხერხოს ტფილისში ხსენებულმა ბანკმა.

ქიზიყის პლანტატორებმა ამ დღეებში შემდეგი მიამბეს: „ტფილისის საკომერციო ბანკი აპირებს დააფუძნოს ტფილისში თამბაქოს საწყობიო, მაგრამ რა იქნება,—მურია მურიკას ძვალს არ გასტეხავსო. ჩვენთვის ჩვენი სამეურნეო ბანკის საწყობი იქნებოდა ათას წილად სამჯობისი, რადგანაც—თუ სამართალია სადმე—იგრევ ჩვენიანებს შესტკივათ ჩვენთვის გული და სხვისიანებს-კი რა ენაღვლებათო. მთელი სიღნაღის მაზრის მეთამბაქოეები თუნდა დღესვე სიხარულით მივცემთ პირ-შეკრულობის ხელწერილებს სამეურნეო ბანკს, რომ მისს გარდა სხვაგან არსად შევგვეძლოს ჩვენი თამბაქოს დაგირავება, ოღონდ-კი ერთი დროით დაგვიხსნან ზღვისოდენა მძარცვავ-მგლეჯავებისაგანო.

ქიზიყისავე მრავალნი მეთამბაქოენი სთხოვენ გამუდმებით ტფილისში მყოფს, თავიანთ გულშემატკივარ მოძმე-ქიზიყელს, ბ-ნს ანტონ ივანეს ძეს ნატროშვილს: პირის-პირ მოელაპარაკოს იგი ხსენებულ ბანკის დიდად პატივცემულ გამგეობას თამბაქოს საწყობის რამენაირად ადრე და მალე განხორციელებაზედ, რის შესახებაც დიდი ხანია თვით ბ-ნი ანტონ ივანეს ძეც ცდილობს გულ-მოდგინედ, რისთვისაც საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ მეთამბაქოეთა ამხანაგობის წესდების შემდგენელს კომისიაშიაც ამოირჩია იგი სამის წლის წინად.

ნათქვამია ძველთაგან და ბრძენთაგან: ერთი დრო არავის შეჰრჩებაო; დღეს რომ ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც—არა, ხვალე ეგრე აღარ იქნებაო; წინანი უკან, უკანანი წინო; დადგება ცოდვილების განკითხვის დღეც და ალალ-მართლების დღესასწაულიცო. და ვინ იცის, იქნება კახეთ-ქიზიყის და მრავალ-ტანჯულ საქართველოს სხვა კუთხეების უთვალავ მეურნე-მრეწველთა უგზო-უგვზოდ დამალული მზეც მოულოდნელად ამოლაპლაპდეს არა-წმინდა მავნე-მაცდურთაგან ჩაბნელებულ ცის კიდურის ტატნობიდამ სამეურნეო ბანკის თუ სხვათა კაპიტალის წყალობით. მოგვეცათ ღვთის წყალობა, რომ მაშინ სოფლის ქირის ოფლით მონაგარ ქონებით სოფლისავე სულთა-მხუთავად გადაქცეულ ვაჭარ-მოვახშეებსაც სამხიარულო სიმღერები და ბაიათები სამგლოვიაროზედ შეეცვლებათ.

ქიზიყელი.

საგებია, თუ ინგლისი მოუთმენლად რად ელის მოლაპარაკების შედეგს. ომმა 100,000 კაცი და 5,675.000,000 ფრანკი იმსხვერპლა. სამხედრო სამინისტრო წინანდელ ტაქტიკას არა ჰლალატობს. იგი მოლაპარაკების შესახებ არაფერს ატყობინებს ხალხს. ბურთა დამორჩილებაზედ ლაპარაკი მეტია, რადგანაც ბურები თავის სიტყვაზედ მაგრა სდგანან“.

მართლაც ბურები დამორჩილებას სრულებითაც არ არიან მოსურნენი. იმათ ელჩს ევროპაში დ-რ ლეიდსს ერთის გაზეთის კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ ბურები არაფერს არ დაუთმობენ ინგლისსაო.

თეატრი და ხელოვნება.

როგორც შევიტყეთ ჩვეულებრივი ყოველწლიური საღამო ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება ამ მაისში. საღამოს დიასახლისად იქნება უგანათლებულესი კნეინა თამარ დავითის ასული გრუზინსკისა. საღამო სიმფონიურის კონცერტითურთ გაიმართება საზაფხულო კრუჟოკში. ორკესტრს ხელმძღვანელობას გაუწევს სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი სერბულოვი. კონცერტის შემდეგ ცეკვა გაიმართება.

⁂

ხვალ, 4 მაისს, ქართულის დრამატიულის დასის მიერ ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნის მესხიშვილისა და გუნიას მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „ცხოვრების გმირი“ დრამა 3 მოქ. და ვოდევილი „ბედნიერი ცოლქმრობა“.

შემოწირულება

ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე გიახლებთ ჩემ მიერ ქ. ფოთში შეკრებილს ას ორმოც და ცამეტს მანეთს (153 მან.), რათა ეს ფული იმ ფონდს მიემატოს, რომელიც უნდა შესდგეს, რომ ოდესის უნივერსიტეტში მუდმივი სტიპენდია დაარსდეს პროფესორის ვასილ მოსეს ძის პეტრიაშვილის სახელობაზე. აი, თვით სიაც იმ პირთა, რომელთაც ამ კეთილს საქმეს თვისი წვლილი შემოსწირეს: ქ-ნმა ოლღა ალექსანდრეს ასულმა ნიკოლაძისამ შემოსწირა 25 მან. და ნიკ. იაკ. ნიკოლაძემ—25 მან. თითო თუმანი შემოსწირეს: დავით ლუარ. ყიფიანმა, ალექ. ალექ. პრავოდნიკოვმა და იაკ. სპირიდ. ფანცხავამ; ხუთ-ხუთი მანეთი: კონსტ. იოს. მიქაბერიძემ, ალექ. დიმიტ. გუგუშვილმა, ნიკ. ტრაუბ კატერფელდმა, მიხ. ადამ. არციმოვიჩმა, ევგ. მიხ. გაბუნიამ, გიორ. ალექ. საბახტარიშვილმა, ივან. ეგნ. ვიტკევიჩმა, ლავრ. მაქ. ტუღუშიმ, გიორ. სტავ. სტავრიდიმ, კონტ. იაკ. კაუხჩევმა და ირაკ. ივან. რამიშვილმა. სამი მანეთი—ვლად. ნიკიფ. კანდელაკმა; ორ-ორი მანეთი: ლუარ. მიხ. ყრუაშვილმა, სოლომ. თედ. ხოშტარიამ, ჩვიმ. ბეჟ. ბერეჟიანმა, ვარლ. ბიჭ. ხარაბაძემ და იოს. ივ. კოხრეიძემ; თითო მანეთი: ბესარ. ლუკ. ხოპერიამ, მიხ. ნადირაძემ, ნოე ალმ. ქლენტმა, ანდ. ივან. სოჩილავამ და ქ. იულ. ნიკ. სკოროდინსკისამ. სულ შესდგა ას ორმოც და ცამეტი მანეთი.

მარადის პატივის მცემელი იაკ. ფანცხავა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 მაისი.

პეტერბურგი. მთავარ-მმართველი მისის იმპერატორებრივის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიისა გოფმეისტერი ა. ს. ტანეევი დაბრუნდა პეტერბურგს. სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ს. მ. ლუკიანოვი წავიდა ვორონეჟის გუბერნიაში.

ლონდონი. კარისმიტიდგან 12 მაისს იუწყებიან: გუშინ მოვიდნენ აქ გენერალი ვესელსი, ლუი ბოტა და სხვა წინამძღოლნი ბურებისა და დღეს წავიდნენ ვერეენიგენში ბურების დელეგატების სანახავად.

ვარშავა. ვარშავის პირველ საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნა სამოსწავლო შემნახველი კასა. გამოცხადებულია სავალდებულო წესდება რძისა და ერბო-ყველის ვაჭრობისათვის ვარშავაში.

ლიბავა. დიდის ოკეანის ესკადრა ადმირალის ჩუხნინისა ჯავშნიანი გემები „სისოი დიდი“, იმპერატორი ნიკოლოზ I“ და „ნავარინი“ და კრეისერები «დიმიტრი დონსკოი» და „ადმირალი კორნილოვი“ წავიდა კრონშტადტს; ესკადრას შეუერთდა კრეისერი «ასკოლდი».

ტამბოვი. კაზლოვის მაზრაში აღმოჩნდა რამდენიმე შემთხვევა სურავანდისა; გაგზავნილია დასი დათა მოწყალებისა.

რადომი. სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო სახელოსნო სასწავლებლის გახსნისა.

ვლადივოსტოკი. საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პარაკლისი სახსოვრად ხელმწიფე იმპერატორის გადარჩენისა საშიშროებისაგან იაპონიაში.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დელეგაციის კომისიაში, ფალკეს დაკითხვის საპასუხოდ გრაფმა გოლუხოვსკიმ მიუგო: რაიცა შეეხება რუსეთთან რომელსამე წერილობით ხელ-შეკრულობას, ამაზედ არავითარი მოლაპარაკება არ არის. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მოელაპარაკონ ერთმანეთს, რათა ორთა სახელმწიფოთა შორის ყველა ცალკე შემთხვევისათვის თანხმობა შეიძლებოდეს ხოლმე.

პარიჟი. მარტინიკის კუნძულზედ მომხდარ უბედურების ამბის მიღებისათანავე რუსეთის იმპერატორმა გაუგზავნა ლუბეს ტელეგრამა, რომლითაც აცხადებს თავისს და იმპერატრიცას მხრივ გულ-მტკივნეულობას და დასძენს, რომ თანაუგრძნობს საფრანგეთის ესოდენ საშინელ უბედურებაში.

ბრესტი. აქ მოვიდა ლუბე. პრეფექტურაში მისვლის დროს ხალხი ეგებებოდა.

ფორტიდე-ფრანსი. კუნძულს წმ. ვიკენტიზედ დაღუპულთა რიცხვი აღმოჩნდა ორი ათასი სული. უმრავლესობა კარაიბები არიან

ლონდონი. როგორც „ტაიმსს“ შანხაიდგან აცნობებენ, ჩინეთის მთავრობამ გარდასწყვიტა საზღვარ გარეთ გატანილ ჩაის ბაჟს 5% დააკლოს

პეკინი. ამბოხება პეჩილის მაზრაში სრულიად გათავებულად ითვლება. 26 აპრილს იუან-შიკაის ჯარი შეხვდა სამი ათასს აჯანყებულს, ამათგან ორი ათასი მოიკლა; ორი მათი ბელადი შეპყრობილ იქმნა; დანარჩენნი გაიქცნენ.

რიგა. ლუბეს რუსეთში მოსვლის გამო აქაური ფრანგები 7 მაისს მეჯლისსა ჰმართავენ.

ვილნა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მიდის პეტერბურგს.

პეტერბურგი. დღეს, 1 მაისს, ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის თანადასწრებით აკურთხეს ახალი შენობა მარიინსკის თავშესაფარისა დასახიჩრებულ და მკურნალობის მიზეზით ხეიბარ ქმნილ მხედართათვის.

2 მაისი

ბრესტი. ნავიმზედ, რომელიც ლუბეს გაუმართეს და რომელსაც 1500 კაცი დაესწრო, მერმა უსურვა პრეზიდენტს მშვიდობით მგზავრობა. ლუბემ შეაქო ვალდეკ-რუსსო, რომელიც სამშობლოს ემსახურება დიდის წარმატებით, იშვიათის უანგარობითა და სიმამაცითაო. ლუბემ შეაქო აგრეთვე დელკასსე: იგი ოთხის წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საგარეო პოლიტიკას, ამასთან იმის ავტორიტეტი თან-და-თან იზრდებოდა საფრანგეთსა და საზღვარ-გარეთ. ლუბემ შეაქო აგრეთვე ლანნესენი და სთქვა, იმედი მაქვს, რომ მცხოვრებნი რესპუბლიკას ერთგულობენო. ბრძოლამ განვლო, დადგა მშვიდობიანი დღენი. სიამოვნებით ვეცდები ჩვენის ქვეყნის ზნეობრივ ერთობის აღდგენასაო.

ბრესტი. პრეზიდენტი პეტერბურგს „მონტკალმის“ კრეისერით წავიდა. თან ხუთი სხვა სამხედრო გემი ახლავს.—გაზეთი „Journal“-ი აცხადებს, რომ ყველა მოწადინებულია პრეზიდენტის მისსიის კეთილად დასრულებასაო; საფრანგეთ რუსეთის კავშირი არა საჭიროებს ხელ-ახლად იმის დამტკიცებას, რომ იგი სასარგებლოა მშვიდობიანობისათვის. ეს მგზავრობა ახალი ხანა იქმნება საფრანგეთ რუსეთის კავშირისა. დაარსა იგი დიდებულმა იმპერატორმა მშვიდობის-მოყვარემ ალექსანდრე მესამემ და განაგრძო დღეს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ.

ლონდონი. წმ. ვიკენტის კუნძული უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე პირველად ეგონათ. აღმოსავლეთი ნაპირი განადგურებული უნდა იყოს. დაიღუპა უთუოდ 1,600 კაცი. მიწას მიაბარეს 1000 გვამი.

ბრესტი. პრეზიდენტი ლუბე 5 საათსა და 16 წუთზედ გაუდგა გზას. თან ახლავან ბალტიის საზღვაო დივიზიისა და ჩრდილოეთ ესკადრის ყველა გემები.

პიატიგორსკი. დღეს დაიწყო სამკურნალო სეზონი. ავადმყოფნი უკვე მოდიან.

ტომსკი. აქაურმა ვაჭარმა ერენევმა, სულით ავადმყოფმა, სამართებლით ყელი გამოსჭრა ორს თავის ბავშვს, ხოლო ცოლსა და თავის თავს ტყვია ესროლა. საშიშოდ არის ავად.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრი კობეკო დანიშნულ იქმნა საჯარო წიგნთ-საცავის დირექტორად.

პეტერბურგის ბირჟა, 30 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდ
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	94¾ წვ გაყ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	303 გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89⅞ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	445 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	172 “
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. სად.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. სად.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. სად.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. სად.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან). . . .	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ.დილ.	6 ს. 22 წ.დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. სად.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Парфюмерія
Рояль-Ралле“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის .	„ 30
საქართ. ისტორიის ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . .	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის. .	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელის. .	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის	„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი .	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . .	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	,, 30
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К. . .	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	,, 60
გიორგი და მიხეილი . . .	,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ზანგი, ვ. აბაშიძის . . .	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили.	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის .	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. [illegible] დაშვილის	1
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ. . . .	,, 20
დედა, ანდერსენის	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი .	1 ,, მ.
დაუდგომელი წმ. ნინოსი . . .	,, 20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К. .	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის . . .	,,
ელენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К. .	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის .	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	,, 3
ამბავი მეფის ქვის	,, 5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. ტ. გვაზავასი .	,, 40
ბენია	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკის. . . .	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ.	,, 30
გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ.	,,
გამზრდელი, აკაკის	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა .	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 3
პატარა დორიტის თავგადასავალი	,, 30
პატარა ვეფხვის ტყაოსანი. . .	,, 25
რამს განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეკ. კირიონის და გრ. ყიფშიძის . .	1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის. .	,, 6
სურო დღესასწაული	,, 2
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р.
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძის. .	3
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 3
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი .	1
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძის	,, 4
თამარ-დედოფლის სამკაული .	,, 1
თამარ ლეხნელი, ან. ფურცელაძის .	,, 5
ისტორია ქართულ სტამბების .	,, 1
ანაბარიდ., ნახუცრიშვილის.	,, 4
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ან. ქუთათელაძისა .	,, 6
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი .	1
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა .	,, 3
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილის.	,, 5

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 აპრილისათვის 1902 წლისა.

აქტივი.

	მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) .	13585	64
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . .	100	—
III. ,, ,, ა) ,,ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კონტორაში . . .	6000	—
IV. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. .	1000	—
V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . . 1895—76 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: . 7927—	9822	76
VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი	6309	49
VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი	278575	30
VIII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით .	500	—
IX. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვის გაგზავნილი	1050	—
X. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.	1757	25
XI. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . . . . 15572— ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 23089— გ) საქონელზედ . . . 26650— დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. 6309—	71620	—
XII. დასაბრუნებელი ხარჯი	57	85
XIII. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 45754—21 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 8779—60	54533	81
XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .	262	83
XV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . - .	344	43
XVI. მიმდინარე ხარჯები.	4505	16
ბალანსი	452409	06

პასივი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 817 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან . .	87682	—
II. სათადარიგო თანხა	7354	46
III. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით . 147035—95 ბ) ვადით . . . . . 123077— გ) უვადოდ . . . . —	270112	95
IV. გარდასაცემი თანხა.	3132	86
V. გარდასახდელი სარგებელი . . .	624	26
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	32	42
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად	300	—
VIII. გადასაცემად მიღებული თანხა .	874	16
IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 5725—53 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 28311—27	34036	80
X. განსაკუთრებული ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყ. . . .	10186	29
XI. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში .	22570	50
XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა .	2991	73
XIII. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა.	4214	71
XIV. მიღებული სარგებელი	7165	90
XV. საპროცენტო გადასახადი 1901 წლის წმინდა მოგებიდგან	1030	02
ბალანსი.	452309	06
პასუხის-მგებლობა 817 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.	789138	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება	16200	—
თამასუქები საკომისიოდ.	2457	8

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 мая 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.